საქართველოს ეკონომიკური მემორანდუმი: წარმატების კიდევ ერთი ათწლეული

მსოფლიო ბანკმა საქართველოს დახმარება გაუწია ახალი სტრატეგიის - „ხედვა 2030 " შემუშავებაში, ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმის ფარგლებში წარმოდგენილი თანამედროვე ანალიზის მომზადებით ფირმის საქმიანობის, ბაზართან წვდომის და ექსპორტის, ფინანსებთან წვდომისა და შრომითი რესურსების შესახებ. მომდევნო ღონისძიებებით განხორციელდა ანგარიშში წარმოდგენილი ძირითადი რეკომენდაციების შესრულების მხარდაჭერა, მიწასთან წვდომისა და ფინანსურ სერვისებში კონკურენციის გაძლიერების ჩათვლით.

„მომავალში ეკონომიკური ზრდა საქართველოში სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული კომპანიების პროდუქტიულობის მატებასა და გარე ბაზრებზე არსებული შესაძლებლობების გამოყენების უნარზე. ამასთან ერთად, გაცილებით აქტიურ და მაღალკვალიფიციურ მუშახელს შეუძლია არსებული დემოგრაფიული ტენდენციების კომპენსირება და პროდუქტიულობის ამაღლება“, - **აღნიშნა მსოფლიო ბანკის უფროსმა ეკონომისტმა ევგენი ნაჟდოვმა.**

საქართველოს ეკონომიკური მემორანდუმის საჯარო პრეზენტაცია, 6 დეკემბერი 2022 წ., თბილისი, საქართველო. ფოტო: მსოფლიო ბანკი

გამოწვევა

გასული ათწლეულის განმავლობაში საქართველომ ეკონომიკის გონივრული მართვისა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს საშუალებით შექმნა ეკონომიკური წარმატების ძლიერი და ფართოდ აღიარებული გამოცდილება. საქართველო იყო უსწრაფესად მზარდი ეკონომიკის მქონე მეორე ქვეყანა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში (2010 – 2019 წლებში ზრდა ერთ სულზე საშუალოდ 5.2 პროცენტს შეადგენდა) და სიღარიბის მაჩვენებელი ამ პერიოდიდან მოყოლებული თითქმის განახევრდა. თუმცა, ქვეყნის სამომავლო ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე გავლენას იქონიებს მოსახლეობის დაბერება, არასრული სტრუქტურული ტრანსფორმაცია, ფირმის დონეზე პროდუქტიულობის სტაგნაცია, უნარების ნაკლებობა და შეუსაბამობა, და გაზრდილი გლობალური გაურკვევლობა.

მიდგომა

ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი მიზნად ისახავდა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივების შეფასებასა და ძირითადი რეფორმების იდენტიფიცირებას მდგრადი განვითარების მისაღწევად, მტკიცებულებების მტკიცე ბაზის უზრუნველყოფით დარგობრივ პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მოსამზადებლად. ფირმის დონეზე პირველად განხორციელდა მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობის და ფასნამატის ანალიზი პროდუქტიულობისა და საქართველოს ბაზრებზე კონკურენტული ზეწოლის შესასწავლად. ამასთან ერთად, ანგარიშმა წარმოადგინა ერთ-ერთი პირველი მცდელობა

ნათელი მოეფინა კორპორაციული სექტორის ენერგომოხმარებისთვის. ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს მონაცემების ანალიზის ინოვაციურ ტექნიკას - გამოყენებული იყო ვებგვერდებიდან ინფორმაციის მოპოვება სამუშაო ადგილებზე მოთხოვნის ანალიზისთვის, სიმჭიდროვე და კავშირები კი რუკაზე იქნა დატანილი მუნიციპალურ დონეზე სივრცითი ანალიზის საშუალებით.

შედეგები

- მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის მომზადებულმა ქვეყნის ეკონომიკურმა მემორანდუმმა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტის როლი შეასრულა და ხელი შეუწყო საქართველოს განვითარების სტრატეგიის *(„ხედვა 2030“)* მომზადებას. სტრატეგია ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა, ბიზნესის მხარდაჭერა და ექსპორტის ხელშეწყობა, მიწასთან და ფინანსებთან წვდომა, და ლოგისტიკა და ვაჭრობის სტიმულირება.
- ქვეყნის ეკონომიკურმა მემორანდუმმა განსაზღვრა ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას ქვეყანა, როგორებიცაა პროდუქტიულობის სუსტი ზრდა, შეზღუდული ინტეგრაცია ღირებულების გლობალურ და რეგიონულ ჯაჭვში და უნარების ნაკლებობა და შეუსაბამობა - რაც არასრული სტრუქტურული გარდაქმნისა და ხარისხიანი სამუშაო ადგილების ნაკლებობის შედეგია. ამ ანალიზის საფუძველზე მსოფლიო ბანკის პროექტებმა უზრუნველყვეს ქვეყნის ეკონომიკურ მემორანდუმში წარმოდგენილი ზოგიერთი რეკომენდაციის მხარდაჭერა, რითაც დახმარება აღმოუჩინესმთავრობას აღნიშნულ გამოწვევებზე რეაგირებასა და ეფექტური შედეგების მიღწევაში. მაგალითად, ბანკის მწვანე და მდგრადი განვითარების პოლიტიკის ღონისძიებათა პაკეტის პირველი პროექტი (DPO) გულისხმობდა სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის გაუმჯობესების, მიწასთან წვდომისა და საირიგაციო სერვისების ღირებულების შეფასების მხარდაჭერას, ისევე როგორც გაფართოებული ელექტრონული გადახდების და ურთიერთშეთანხმებულობის გაფართოებას ფინანსებთან არადისკრიმინაციული წვდომის უზრუნველსაყოფად.
- ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურმა მემორანდუმმა გააძლიერა დარგობრივ პოლიტიკასთან დაკავშირებული დიალოგი ძირითად სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან.
- ანგარიში ფართოდ გაშუქდასაინფორმაციო საშუალებების მიერ , მათ შორის, ბეჭდურ, ონლაინ და სამაუწყებლო მედიაში, რამაც ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეებისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მსოფლიო ბანკის მნიშვნელოვანი ანალიტიკური საქმიანობისა და საქართველოსთვის მტკიცე ტექნიკურ-ფინანსური მხარდაჭერის შესახებ.

მსოფლიო ბანკის წვლილი

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სხვადასხვა განყოფილებების დაახლოებით 50 თანამშრომლისგან შემდგარმა გამორჩეულმა გუნდმა მოამზადა ქვეყნის

ეკონომიკური მემორანდუმი. გუნდი ასევე თანამშრომლობდა საფინანსო სექტორში და საწარმოთა მხარდაჭერის პროექტებში, ისევე როგორც ანალიტიკურ და საკონსულტაციო ღონისძიებებში ჩართულ კოლეგებთან ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და ლოგისტიკა, ციფრული განვითარება, ადამიანური კაპიტალი და სხვა. მომზადების ხარჯებმა შეადგინა 450,000 აშშ დოლარი, საიდანაც 200,000 აშშ დოლარი გამოყოფილ იქნა ვაჭრობის სატრასტო ფონდიდან.

პარტნიორები

ქვეყნის ეკონომიკურ მემორანდუმზე მომუშავე გუნდმა პროცესში ჩართო დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი ანგარიშის მომზადებასა და გავრცელებაში, საქართველოს უწყებებს შორის არსებული მტკიცე თანამშრომლობის საფუძველზე, რომელთაგან აღსანიშნავია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შემოსავლების სამსახური და სხვადასხვა სამინისტროები. მემორანდუმით მოცემული თემატური სფეროები მოიცავს საკითხებს, რომლებიც მკაფიოდ იქნა მოთხოვნილი საქართველოს ხელისუფლების მიერ, მაგრამ ასევე ისეთ მიმართულებებსაც, რომლებიც გამოიკვეთა კერძო სექტორთან, მათ შორის, ბიზნეს-ასოციაციებთან და მსხვილ ექსპორტიორებთან დისკუსიების საფუძველზე. ანგარიში საჯაროდ გამოქვეყნდა 2022 წლის 6 დეკემბერს ღონისძიებაზე, რომელსაც მრავალი დაინტერესებული მხარე ესწრებოდა[1]

სამომავლო ნაბიჯები

ანგარიში განიხილავს საქართველოს მთავრობის ათწლიან სტრატეგიას და მის განხორციელებას. ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებმა გამოხატეს მტკიცე სურვილი, პარტნიორობა გაუწიონ მსოფლიო ბანკს ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმის რეკომენდაციების შესასრულებლად, მათ შორის, ბიუჯეტის მხარდაჭერისა და საინვესტიციო ღონისძიებების საშუალებით. ქვეყნის ეკონომიკურმა მემორანდუმმა ასევე უზრუნველყო საფუძველი საქართველოსთვის ქვეყნის სისტემური დიაგნოსტიკის (SCD) დოკუმენტის მოსამზადებლად, რომელიც აღწერს კონსულტაციებს, განიხილავს მემორანდუმის შემდგომ მიგნებებს და იძლევა ინფორმაციას მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ საქართველოსთან თანამშრომლობის ჩარჩო-დოკუმენტის (CPF) მომზადების შესახებ.

[1] ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმის საჯარო პრეზენტაციის ღონისძიებას ერთობლივად უმასპინძლეს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მინისტრთა კაბინეტის, პარლამენტის, განვითარების მიმართულებით მომუშავე პარტნიორების, ბიზნეს-ასოციაციებისა და კერძო სექტორის, სამოქალაქო სექტორის, ანალიტიკური ცენტრების, აკადემიური წრეებისა და მედიის წარმომადგენლები.